

უცხოურ პირთა და გეოგრაფიული სახელების ქართულად  
გადმოცემისათვის

ამ ორიოდ წლის წინათ გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ“ დისკუსია გამართა უცხოური სახელების ქართულად გადმოცემის საკითხებზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ დისკუსიას ერთგვარად იმპროვიზებული ხასიათი ჰქონდა და ამის გამო მეტწილად კამათი მიმდინარეობდა არაძირითადი საკითხების შესახებ (ამასთან, არც პირადული მომენტების მოძალემა იყო გამოორიცხული და ამის გამო საკითხის არსებითი მხარე იჩრდილებოდა), დისკუსიამ ცხადყო, რომ საკითხი მოსავლელია: უკანასკნელ ხანებში უცხო ენებიდან ითარგმნება დაიძალი ლიტერატურა, ამასთან, თუ რამდენიმე ათეული წლის წინათ უშუალოდ დედნიდან შედარებით იშვიათად თარგმნიდნენ, ამჟამად თითქმის ყოველთვის დედნიდან ან სათანადო პწკარედებიდან თარგმნიან. ამ პირობებში უცხო სახელების ქართულად გადმოღების საკითხი რთულდება. ერთმანეთს უპირისპირდება ძველი და ახალი ვარიანტები და ენაში ერთმანეთის მოცილე ფორმები ჩნდება. ამას მოგვარება სჭირდება.

მაგრამ ამ საკითხის გადაწყვეტისას არ უნდა იქნეს დავიწყებული ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტი, ოაც დისკუსიის მონაწილეთათვის, შეიძლება ითქვას, არსებითი ხასიათისა არ ყოფილა. ქართული ენა ძველი სამწერლობო ენაა და ამ ენაში ასეთი საკითხები იმგვარად არ შეიძლება დაისვას და გადაწყდეს, როგორც დაისმოდა და გადაწყდებოდა რომელიმე ახალ სამწერლობო ენაში. ის სიძნელეები, რომლებსაც ამჟამად ვაწყდებით უცხოურ სახელთა ქართულად გადმოცემისას, ახალი არაა. ამგვარივე სიძნელეები ხვდებოდათ ჩვენს წინაპრებს ჯერ კიდევ ამ ათასსუთასიოდ წლის წინათ და შემდგომაც, როდესაც უცხო ენებიდან თარგმნიდნენ სხვადასხვა ძეგლებს. ერთი პირველ წიგნთაგანი, რომელიც ქართულად ითარგმნა ჩვენში ქრისტიანო-

ბის გაბატონების შემდეგ, ალბათ ოთხთავი იყო, შემდგომ ბიბლია და სხვა ცნობილი წიგნები. ამ წიგნებში ჩვენ დიდი რაოდენობით გვხვდება როგორც ადამიანთა სახელები, ისე გეოგრაფიული სახელებიც. მხოლოდ მათეს თავის დასაწყისი რომ მოვიგონოთ, ისიც საკმარისი იქნება იმის საჩვენებლად, თუ როგორ კარგად უვლიდნენ უცხო სახელთა გადმოქართულების საქმეს ძველს საქართველოში.

„წიგნი შობისა იესუ ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისი.

აბრაჰამ შვა ისაკი; ისაკმან შვა იაკობი; იაკობ შვა იუდა და ძმანი მისნი;

ხოლო იუდა შვა ფარჯ და ზარა თამარისგან; და ფარჯ შვა ესრომ; და ესრომ შვა არამ;

არამ შვა ამინადაბ; ამინადაბ შვა ნასონ; ნასონ შვა სალმონ;

სალმონ შვა ბოოზ რეჟაბისგან; ბოოზ შვა იობედ რუთისგან; იობედ შვა იესე;

იესე შვა დავით მეფე; დავით მეფემან შვა სოლომონი ურიაჲს ცოლისაგან;

სოლომონ შვა რობოამ; რობოამ შვა აბია; აბია შვა ასაფი; ასაფ შვა იოსაფატ; იოსაფატ შვა იორამ; იორამ შვა ოზია; ოზია შვა იოათამ;

იოათამ შვა აქაზ; აქაზ შვა ეზეკია;

ეზეკია შვა მანასე; მანასე შვა ამონი; ამონ შვა იოსია;

იოსია შვა იოაკიმ; იოაკიმ შვა იეჟონია და ძმანი მისნი ტყუეობასა მას ბაბილოვნისასა.

შემდგომად ტყუეობისა მის ბაბილოვნისა იეჟონია შვა სალათიელი; სალათიელმან შვა ზორობაბელ; ზორობაბელ შვა აბიუდ.

აბიუდ შვა ელიაკიმ; ელიაკიმ შვა აზორ;

აზორ შვა სადუკ; სადუკ შვა აქიმ; აქიმ შვა ელიუდ;

ელიუდ შვა ელეაზარ; ელეაზარ შვა მატთან; მატთან შვა იაკობ;

იაკობ შვა იოსეფ, ქმარი მარიამისი, რომლისაგან იშვა იესუ, რომელსა ჰრქვან ქრისტე“<sup>1</sup>.

ახლა ბიბლია მოვიგონოთ! ამას დაემატება ასობით ასეთი სახელი ქართულად თარგმნილი ჰავიოგრაფიული ლიტერატურიდან. ეს სახელები ჩვენში ვრცელდებოდა არა მხოლოდ ლიტერატურული გზით; არამედ სხვა გზითაც. ძველ მოწამეთა და ქრისტიანული ეკლესიის მათა სახელები ოფიციალურ სახელებად (ე. წ. კალენდრის სახელებად)

<sup>1</sup> ნაწყვეტი ამოღებულია ადიშის ოთხთავიდან (მათე 1, 1—16): ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, ა. შ ა ნ ი ძ ი ს გამოცემა, თბილისი, 1945.

გავრცელდა და მათ არქმევდნენ ბავშვებს. ბევრი ასეთი სახელი, რა თქმა უნდა, გავიდა ხმარებიდან, მაგრამ ბევრი მათგანი აქამდე შემოგვრჩა. შემოდასახელებულ სახელთაგან დავითი, აბრაამი, ისაკი, იაკობი, იესე, სოლომონი, იორამი, იოთამი, ეზეკია, მანასე, ელეაზარი, იოსები დღესაც გავრცელებულია ჩვენში, ისევე როგორც დღესაც გვხვდება ბიბლიური სხვა სახელები: ადამი, ევა, აბელი, ანგია, იერემია, მოსე, არონი, ნოე და სხვები.

საშუალ საუკუნეებში, როდესაც ქართულ მწერლობას მკიდრო ურთიერთობა ჰქონდა სპარსულ მწერლობასთან, განსაკუთრებით როცა ითარგმნა „შაჰნამე“, ანუ „მეფეთა წიგნი“, ასევე გადმოაქართულეს მრავალი სპარსული სახელი. ამ დროიდან მომდინარეობს ჩვენში ისეთი გავრცელებული სახელები, როგორიცაა: ბარამი, ბაქარი, ბეჟანი, გარსევანი, გივი, გოდერძი, გოსტაშაბი, გურამი, გურგენი, ვახუშტი, ჯაალი, ჯავარი, ჯურაბი, თეიმურაზი, ლევანი, ლუარსაბი, მანუჩარი, მერაბი, ნარიმანი, ნოდარი, ომანი, რევაზი, როდამი, როსტომი, როინი, საამი, უთრუთი, უშანგი, ფარსადანი, ფირანი, ფრიდონი, ქაიხოსრო, ქეთევანი, ქიშვარდი, ჭიმშედი, ერაჯი, თამაზი და მრავალი სხვა. ბევრი მათგანი იმდენად გადმოქართულებულია, რომ საგრძნობლადაა დაშორებული მასესხებელი ენის ფორმას.

ერთგვარობა არც ძველად იყო დაცული ყოველთვის. ოთხთავში გვხვდება, მაგალითად, ასეთი ვარიანტები:

#### ადამიანთა სახელებისა:

აბრაჰამ და აბრაამ  
 ჰეროდია და ეროდია  
 ეროდე და ჰეროდე  
 ანდრეა და ანდრია  
 არქელაოზ და არქელაოს  
 ბართლომე და ბართლომეოს  
 ბოოზ და ბოოს  
 ბარტიმე და ბარტიმოს  
 ელისაბედ და ელისაბეთ  
 ზაბულონ და ზაბილონ  
 ესრომ და ეზრომ  
 თადეოზ და თადეოს  
 იაროს და იაეროს  
 იოვანე და იოჰანე  
 იოსებ და იოსეფ  
 ისაკ და ისააკ

ნაასონ და ნასონ  
ნაუმ და ნაომ  
ნოე და ნოვე  
პრაქელ და რაქელ  
სალმონ და სალმუნ  
სერუქ და სირუქ  
სიმონ, სვმონ და სვმეონ  
ფალეგ და ფალექ და სხვ.

### გეოგრაფიული სახელებისა:

ბაბილონი და ბაბილონი  
გესამანი და გესამანია  
ეფრემი და ეფრაიმი  
კაფარნაუმ, კაფარნაომ, კაფერნაომ და  
კაპარნაუმ  
სიდონ და სიდონია  
ტიბერი, ტიბერია და ტებერია და სხვ.

სხვაობა არის როგორც თანხმოვანთა, ისე ჩმოვანთა გადმოცემისას და უბრალო დაკვირვებაც საკმარისია იმისათვის, რომ გარკვეული კანონზომიერება იქნეს შემჩნეული.

ამასთან, როგორც ცნობილია, შემოსვლა ყოველთვის ლიტერატურული გზით არ ხდებოდა. შემოსვლა უშუალო კონტაქტების საშუალებითაც ხდებოდა. ამის გამოა, რომ, მაგალითად, ბერძნულიდან შემოსული სახელები ზოგჯერ ბერძნული სახელობითის ფორმითაა დამკვიდრებული, ზოგჯერ კიდევ — წოდებითისა. ლიტერატურული გზით შემოსულ სახელწოდებებშიცაა სხვაობა: სხვადასხვა ენიდან შემოსვლისას სხვადასხვაგვარი კანონზომიერებაა შესამჩნევი.

რუსული სახელები უკვე მე-18 საუკუნიდან შემოდის, მაგრამ სისტემატური ხასიათი მიეცა ამას მე-19 საუკუნეში საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ. ამასთან, ამ საუკუნეში დასავლეთ ევროპის ენებიდან სახელები უმთავრესად რუსულის საშუალებით და გზით შემოდიოდა. ამან თავისი დალი დაასვა ამ ეპოქაში გადმოქართულებული სახელების ფორმას: მრავალ შემთხვევაში ამოსავალი რუსულში გავრცელებული და დამკვიდრებული ფორმებია. განსაკუთრებით ეს ეხება გეოგრაფიულ სახელებს. მაგალითად, ქართულში იაპონია რუსულში დამკვიდრებული ფორმით გაბატონდა და ეს ფორმა იხმარება არა მარტო გეოგრაფიული ცნების აღსანიშნავად, არამედ იგი ხალხში სხვა მნიშვნელობითაც გავრცელდა (დასავლეთ საქართველოში იაპონია-ს ეძახიან სოიას, რომელიც გავრცელდა ჩვენში როგორც

რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ და იაპონიასთან ჩანს დაკავშირებული). ასეთი შემთხვევები ხშირია, განსაკუთრებით გეოგრაფიული სახელე-ბის გადმოქართულებისას.

ასე რომ, ცხადია, საჭიროა გათვალისწინება როგორც შემოსვლის ჩასათათისა, ისე შემოსვლის გზისა.

ამჟამად ლიტერატურული ძეგლები უშუალოდ დედნიდან ითარ-გმნება. სახელებიც შესაბამისი ენებიდან შემოდის. უმართებულო იქ-ნებოდა ანგარიში არ გასწეოდა მასესხებელი ენის წარმოთქმას და სი-ზუსტე არ დაგვეცვა ამ მხრივ, თანაც არ გაგვესწორებინა ის ხმარე-ბული ფორმები, რომელთა გამოყენებისას წარმოთქმას ანგარიში არ ეწეოდა. რა თქმა უნდა, აღარ შეიძლება **ჰენრიხად** გადმოვიდოთ გერ-მანული **ჰაინრიხიც**, ფრანგული **ანრიც** და ინგლისური **ჰენრიც**. ან **ივა-ნედ** — გერმანული **იოჰანიც**, ფრანგული **ჟანიც**, ინგლისური **ჯონიც**, იტალიური **ჯიოვანიც** და ესპანური **ხუანიც**. (თუ თითო-ოროლა შეც-დომას არ მივიღებთ მხედველობაში, დღეს ასე არც ხდება). ამდენად, არცაა საკამათო, **სტეფან ცვაიგი** უნდა იწერებოდეს თუ **შტეფან ცვა-იგი**. ერთ დროს **ცვეიგიც** იწერებოდა. ეს მაშინ ხდებოდა, როცა ცვა-იგის თხზულებები ქართულად რუსული თარგმანიდან ითარგმნებოდა. ისე კი უცხოური სახელების გადმოქართულებისას სათარგმნელი ენის წარმოთქმას ყოველთვის ექცეოდა სათანადო ყურადღება. ამიტომ არავინ არ უნდა იფიქროს, რომ უცხო სახელების გადმოქართულება იწყება მაშინ, როცა მან თარგმნა რომელიმე უცხოური ლიტერატუ-რული ნაწარმოები, ან გამოკვლევა დაწერა რომელიმე უცხოელი ავ-ტორის შესახებ, ან კიდევ წერილში მოიხსენია რომელიმე უცხოელი ავტორი. ძველად შემოსულ სახელებს სხვაგვარი მოპყრობა უნდა და ამჟამად შემომავალს — სხვაგვარი. ტრადიცია უნდა დაცულ იქნეს, თუმცა აშკარა შეცდომები, რომლებიც არღვევენ საერთოდ დამკვიდ-რებულ წესს, უნდა გასწორდეს.

ადამიანის სახელებზე როდესაცაა ლაპარაკი, ის ფაქტიც უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, რომ ერთგვარი მდგომარეობა გვაქვს დასავლეთ ევროპის ენებიდან შემოსულ სახელებში, ხოლო მეორე-გვარი — რუსულიდან შემოსულ სახელებში. ბევრი რუსული სახელი ძალიან ახლოს დგას ქართულთან და ამის გამო ბევრ შემთხვევაში რუ-სული წარმოთქმის დაცვა არ ხერხდება: ქართულად ითქმის მხოლოდ ასე: **ვლადიმერ ლენინი**, **პეტრე ჩაიკოვსკი**, **მიხეილ კალინინი...**, თუმცა ბევრ შემთხვევაში ამგვარი წესით გადმოიღებაც არაა შესაძლებელი: თითქოს უფრო ჩვეულებრივია **ალექსანდრე პუშკინი**, მაგრამ გვაქვს **ალექსანდრ ბლოკი** („იმ საშინელ წელს პოეტი-მეფე გარდაიცვალა ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ბ ლო კ ი“. — **გ. ტაბ.**). თუ საგრძნობლად დამორებუ-

ლია სახელები ერთმანეთს, მაშინ, რა თქმა უნდა, ასეთი მერყეობა აღარ შეიძლება იყოს.

ამის მიხედვით ჩანს, რომ პირთა სახელების მოქცევა ორიოდე ყალიბში და საკითხის მარტივად გადაწყვეტა არ მოხერხდება. საჭირო გახდება გავითვალისწინოთ მრავალი სახელის შემოსვლის ისტორია ცალ-ცალკე. შესაძლებელია რამდენიმე სავესებით ერთი და იგივე სახელი გვექონდეს, მაგრამ ქართულში ისინი სხვადასხვა ფორმით აღმოჩნდეს გადმოტანილი.

პირთა სახელები ენაში ყოველთვის ლიტერატურული თარგმანის გზით არ შემოდის. ისიც უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ პრესას ყოველდღიურად სჭირდება სხვადასხვა პოლიტიკურ მოღვაწეთა, მეცნიერთა და სხვა პირთა სახელების გადმოქართულება. ჩვენ ამჟამად გვაქვს საშუალება ვიცოდეთ, თუ როგორია წარმოთქმა იმ სახელებისა, რომლებიც ძირითადად დასავლეთევროპული ენებიდან მომდინარეობენ, ვთქვათ, გერმანულიდან, ფრანგულიდან, ინგლისურიდან, იტალიურიდან, ესპანურიდან. მაგრამ შემდეგ? უკანასკნელ ხანში ჩვენში გაჩნდნენ ჩეხურის, რუმინულის, ბულგარულის, უნგრულის მცოდნენიც. სკანდინავურ ენებს სხვადასხვა ცნობარების საშუალებით შეიძლება მოევლოს და ა. შ., ახლოაღმოსავლური ენებიდან მომდინარე სახელების მოვლაც შეგვიძლია. მაგრამ რა ვუყოთ აფრიკას, აზიის ზოგ კუთხეს, ავსტრალიასა და პოლინეზიას? საკითხი ასე იმიტომ იმის, რომ არც საჭიროა და არც შესაძლებელი იმ ფაქტის გათვალისწინებლობა, რომ ასეთი სახელები ჩვენს ენაში რუსული ენის გზითა და საშუალებით შემოდის. იმიტომ საჭიროა იმ გამოცდილების გამოყენება, რომელიც რუსულს აქვს ამ მხრივ და იმის გათვალისწინება, რომ ყოველთვის არა გვაქვს შესაძლებლობა ყველა ენის წარმოთქმანზე დამყარებისა. ამ მომენტს განსაკუთრებით გეოგრაფიულ სახელთა გადმოცემისას აქვს არსებითი მნიშვნელობა.

პირთა სახელები უამრავია. ძველადაც ბევრი შემოდის, ახლაც ბევრის გადმოქართულება გვეჭირდება. ზღვარის დადება — დამთავრდა უცხოური სახელების გადმოქართულებათ — არ შეიძლება. ყოველდღე ახალი სახელის გადმოქართულება შეიძლება დაგვეჭირდეს. ამათგან ბევრი მალე ქრება ენაში: დღეს აღარავის ახსოვს და არ სჭირდება ჩანძოლინისა თუ უპეიფუს მოხსენიება ისტორიული ჩასიათის წერილებშიც კი, ერთ დროს კი ეს სახელები ყოველდღე გვხვდებოდა ყურნალ-გაზეთების ფურცლებზე. ასევე უამრავია გეოგრაფიული სახელწოდებანი: სახელწოდებანი დასახლებული პუნქტებისა, მთებისა, მდინარეებისა, ზღვებისა, ტბებისა, ყურეებისა თუ სრუტეებისა. ყველაფრის აღნუსხვა არც შესაძლებელია და არც საჭირო. საჭიროა შე-

მოზღუდვა გარკვეული ფარგლებით და შედგენა სათანადო ორთოგრაფიული ცნობარისა. თითქოს სრულიად საკმარისია ამ თვალსაზრისით ის მასალა, რაც რუსულ დიდ ენციკლოპედიურ ლექსიკონშია შეტანილი. უნდა დადგენილ იქნეს საბოლოო სახე სიტყვანისა ქართულ ვარიანტთან უცხოური დაწერილობისა და წარმოთქმის ჩვენებით და ამის შემდეგ შესაძლებელი გახდება უნიფიკაცია ქართული დაწერილობებისა საბოლოო სახით.

უცხოურ პირთა სახელებისა და იეოგრაფიული სახელების ქართულად გადმოცემის საკითხი არაა ცალკე გრამატიკული საკითხი. უცხოურ სახელთა გადმოცემისას საჭირო ხდება არაერთი ფონეტიკური და სიტყვაწარმოებითი, აგრეთვე მორფოლოგიური საკითხის გათვალისწინება. „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილ წერილებში, ერთი მხრით, საქმე ისე იყო წარმოდგენილი, თითქოს საკმარისი იყოს გადმოცემის ამა თუ იმ პრინციპის არჩევა და საკითხი მოგვარებული იქნება, ხოლო, მეორე მხრით, თითქოს თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში უცხოურ სიტყვათა გადმოცემის საკითხი პირველად ახლა წამოჭრილიყოს. ნამდვილად კი, როგორც ცნობილია, შემუშავებულია და დამტკიცებულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის მიერ ნორმები არაერთი საკითხის შესახებ, რომელთა გათვალისწინებით და რომლებზედაც დაყრდნობით ხდება და უნდა ხდებოდეს უცხოურ სახელთა გადმოქართულება.

მაგალითად:

1. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის ძირითად პრინციპებში გათვალისწინებულია არაერთი საკითხი, რომელიც განსაზღვრავს უცხოურ პირთა და გეოგრაფიული სახელების გადმოქართულების წესსაც.

2. დადგენილია, რომ გერმანული ei დიფთონგი ქართულად უნდა გადმოიცეს აი-ს საშუალებით. ამის შედეგია, რომ სალიტერატურო ქართულში დღეს გაბატონებულია დაწერილობები: ცვაიგი, აინშტაინი, ლაიზნიცი, მეკელაინი, ჰაინე, ჰოფმაისტერი... ბრაუნშვაიგი, ვაიმარი, ლაიფციგი, მანჰაიმი, რაინი, ფრაიბურგი, ჰაიდელბერგი...

ამასთანავე დადგენილია, რომ ეს წესი არ ვრცელდება დიფთონგიან იმ სიტყვებზე, რომლებიც გერმანულიდან შემოსულან რუსულ ენაში, დაქვემდებარებიან რუსული ენის ნორმებს და შემდგომ შემოსულან ქართულში. ამის გამოა, რომ გვაქვს: ბრონშტეინი, ეიზენშტეინი, ეიზენბაუმი და სხვ.

3. დადგენილია ისეთი უცხოურ პირთა სახელებისა და გეოგრაფიული სახელების ბრუნების წესი, რომელთაც ფუძე ი ხმოვანზე



უბოლოვდებათ: **ბოტიჩელი, გარიბალდი, მაძინი, პაგანინი, პუჩინი... ტრიპოლი, დელი...** აგრეთვე რუსული სახელებია: **ჩერნიშევსკი, მაიაკოვსკი, გორკი...**

4. დადგენილია უცხოურიდან მომდინარე ტიტულების გაფორმება მიმართვის დროს: **ბარონო, ვიკონტო, მარკიზო, ჰერცოგო, ლორდო, მილორდო.** აგრეთვე **მადამ, მისტერ, მის, მისის, სერ, ლედი...**

5. დადგენილია ევროპის ენებიდან მომდინარე Ia და lu ჯგუფიანი სიტყვების გადმოცემა ქართულში **ლა** და **ლუ** ჯგუფით. ამ წესის მიხედვით იხმარება დღევანდელ სალიტერატურო ენაში და ერთადერთ ფორმებს წარმოადგენს, ვთქვათ, **ლუთერი, ლუდვიგ ფოიერბახი, ლუციფერი, ლუი, ლუქსემბურგი, ლუბეკი...**

ასევე დადგენილია, რომ რუსულიდან მომდინარე გვარებში **ЛЯ** და **ЛЮ** ქართულად **ლია** და **ლიუ**-თი გადმოიცემა. ევაქვს **ლიუბიმოვი, ლიაპუნოვი...**

ასევე გადმოიცემა **Я**-ს და **Ю**-ს შემცველი ყველა სხვა ამგვარი ჯგუფი რუსულიდან და რუსულის გზით ევროპული ენებიდან მომდინარე სიტყვებში: **ბრიუსოვი, ბიულოვი, ტიუტჩევი, ჰიუბშმანი, ტიუდორი, ჰიუგო, დიურინგი, დიუბუა, დიუკლო, უოლიო-კიური, სოსიური, სტიუარტი...** იან ჰუსი, იანუსი, მაიაკოვსკი, იახონტოვი... იავა, იაპონია, იამაიკა, იაფა... დიუსელდორფი, იუკონი, ციურიზი, ბრიუსელი, მიუნხენი, ნიურნბერგი, ტიურინგია, ნიუ-იორკი, ნიუფაუნდლენდი...

6. დადგენილია რუსული უმახვილო **О**-ს ქართულად გადმოცემის წესი. ამ წესის თანახმად გაბატონდა დღეს დაწერილობანი რუსული და რუსულის გზით შემოსული სახელებისა: **ტოლსტოი, ბორის გოდუნოვი, ოსტროვსკი, დოსტოევსკი...** ოდესა, პოლტავა, ბოროდინო...

7. დადგენილია **Ъ**-ს შემცველ რუსულ სიტყვათა და რუსულის გზით შემოსულ უცხო სიტყვათა გადმოცემის წესი. ამ წესის მიხედვით იწერება: **კოვალიოვი, ბუდიონი** და მისთ.

8. დადგენილია რუსულის გზით შემოსულ **ЕЯ**-ზე დაბოლოებულ სიტყვათა გადმოცემის წესი. ამ წესის მიხედვით ვწერთ ფორმებს: **დულცინეა, მედეა, ფსიქეა...** გვინეა, ევბეა, ერიორეა, ვანდეა, კორეა, იუდეა...

9. დადგენილია ბერძნულიდან და ლათინურიდან მომდინარე სიტყვათა გადმოცემა ქართულში და შესაფერისი ფონეტიკური წესები: ბერძნული **Χ** გადმოღის ქართულში **ქ**-თი (**ესქილე, არქიმედე, არქილოქე... ანტიოქია...**); ბერძნული **ψ** — **თ**-თი (**თეზევსი, თეოფილე... თებე...**); განსაზღვრულია აგრეთვე **ტ**-ს ხმარებაც. ასევე მოგვარებულია **თ**-სა და **ტ**-ს წერა გერმანულიდან და ფრანგულიდან მომ-



დინარე სიტყვებში. ამის მიხედვით გვაქვს: **ერფურტი, გოთა, დოროთეა** („ჰერმან და დოროთეა“) და სხვ.

დადგენილია ჰ-ს წერა ბერძნულიდან და ლათინურიდან მომდინარე სიტყვებში, აგრეთვე ინგლისური და გერმანული სიტყვების გადმოცემისას. ამ წესის მიხედვით ვწერთ ფორმებს: **ჰომეროსი, ჰეფესტოსი, მანჰაიმი, აბდერჰალდენი, ჰამბურგი, ჰანოვერი, ჰანზა...**

განსაზღვრულია ბერძნულ-ლათინური წარმოშობის სიტყვებში ყ-ს ან ფ-ს ქართულად გადმოცემა. ამ წესის თანახმად ძველთაგანვე მართებულად დამკვიდრებული ფორმების — **გიორგის, გერონტის** — გვერდით ამჟამად ყველგან გ იხმარება სალიტერატურო ქართულში და არა ლ: **პითაგორა, ლიკურგოსი...**

ასევეა დადგენილი ბერძნული ყ-ს და ლათინური y-ს გადმოცემა. ამის მიხედვით იხმარება **ესქილე, იპოლიტე, კიროსი, დიონისე, ლიკურგოსი, ოდისევსი**. მაგრამ რჩება ტრადიციით დამკვიდრებული **კვიპროსი** და **კვირიკე**.

ასევე დადგენილია ბერძნული η გადმოცემა და ვწერთ ფორმებს: **არქიმედე, დემოსთენე, დემოკრიტე, თეზევსი, ჰერაკლე, ჰეროდოტე, ჰომეროსი**.

გადაწყვეტილია ai ei დიფთონგების გადმოცემის საკითხი. იწერება: **ესოპე, ევკლიდე, არისტიდე, ირინე, ენეასი, ევკლიდე...**

დადგენილია qu კომპლექსის კვ-თი გადმოცემა ქართულში და არა ქვ-თი. იწერება: **ტარკვინიუს ამაყი**.

დადგენილია ბერძნულიდან და ლათინურიდან მომდინარე სიტყვებში cs, x და ps კომპლექსების გადმოცემა ქს და ფს კომპლექსებით (**ქსენოფონტე, მაქსიმე, პელოფსი...**), ct კომპლექსისა ქტ კომპლექსით (**ოქტავიოსი**), pt კომპლექსისა პტ კომპლექსითვე (**პტოლემეოსი**)...

ეს წესები ვრცელდება იმ სიტყვებზედაც, რომლებიც შემოსულია ან შემოდის ქართულში ევროპული ენებიდან უშუალოდ ან რუსული ენის მეშვეობით.

10. ასევე დამკვიდრდა ქართულში ბუნებრივად შემუშავებული წესი უცხო სახელებში, კერძოდ პირთა სახელების ფუძეებში, მრჩობლი თანხმოვნის ერთი თანხმოვნით გადმოცემისა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი პირი ამ წესს დაჟინებით ებრძოდა და ებრძვის (სხვათა შორის, „ლიტერატურულ საქართველოშიც“ წარმოითქვა წყვილი თანხმოვნის სასარგებლოდ სიტყვა ზენოალნიშნული დისკუსიის ერთ-ერთი მონაწილის მიერ).

ქართულში იხმარება: **შილერი** (და არა **შილლერი**), **ჟან ჟაკ რუსო** (და არა **რუსსო**), **შელი** (და არა **შელილი**) და სხვ.

როგორც ვხედავთ, ძირითადი საკითხები უცხო ენებიდან სიტყვათა შემოსვლისა (კერძოდ, პირთა სახელებისა და გეოგრაფიული სახელების შემოსვლისაც) თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში გადაჭრილია. რა თქმა უნდა, როდესაც მოხდება ცალკეულ ლექსიკურ ერთეულთა გაანალიზება, კიდევ არაერთი საკითხი წამოიჭრება. ეს საკითხები უნდა გადაწყდეს ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ძირითადი ტენდენციების შესაბამისად.

ამრიგად, ყველა შემთხვევის ერთგვარად გადაწყვეტა შეუძლებელია, რამდენადაც საქმე გვაქვს არა ცალკეული მორფოლოგიური ან სინტაქსური ნორმის შემუშავებასთან, არამედ უკვე მიღებულ და დამკვიდრებულ ნორმათა მთელი კომპლექსის თანახმად წყდება თითოეული სიტყვის დაწერილობის საკითხი. საკითხის გადაწყვეტისას საჭიროა ანგარიში გაეწიოს მასესხებულ ენასაც, შემოსვლის გზასაც, ტრადიციასაც, რომელიც შეიძლება იყოს ნაირგვარი. ანგარიში უნდა გაეწიოს იმას, საიდან მოდის ესა თუ ის სახელი (შდრ., ერთი მხრით, **კარლ მარქსი**, ხოლო, მეორე მხრით, **ჩარლზ დარვინი**; ერთი მხრით, **ჰეკ ლონდონი**, მეორე მხრით, **ჟან ჟაკ რუსო** და, მესამე მხრით, **იაკობ გრიმი**). გასათვალისწინებელია აგრეთვე, თუ რა გზით ხდებოდა შემოსვლა — სამწერლო გზით თუ უშუალო სამეტყველო კონტაქტის პირობებში (შდრ. ძველი **სტეფანოზი** და **სტეფანე**).

ყველაფერი ამის გათვალისწინებით, რაც აქ ითქვა, შედგება, ერთი მხრით, უცხოურ ადამიანთა საკუთარი სახელების, ხოლო, მეორე მხრით, გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონები. ამ ლექსიკონების შედგენა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დავალებული აქვს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტს და ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის რედაქციას. ლექსიკონები პროექტის სახით წარედგინება თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენ მუდმივ სახელმწიფო კომისიას, ხოლო კომისიის მიერ განხილვისა და დამტკიცების შემდეგ ამ ლექსიკონში წარმოდგენილი ფორმები სავალდებულო გახდება სალიტერატურო ქართულში სახმარებლად.